უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 26

2014 წ. "25" 09

ქ.თბილისი

,,სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ " საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №118 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ,,სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ " საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №118 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
,,2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 2697-ით, სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განესაზღვროს 200-ით."
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 25 სექტემბრის №9 სხდომის ოქმის მე-6 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე